შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

ისწაფვიან რა მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ტრადიციული კავშირების განვითარებისაკენ,

ითვალისწინებენ ორივე მხარის დაინტერესებას ურთიერთსასარგებლო და თანასწორუფლებიანი ხანგრძლივი, სტაბილური თანამშრომლობით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები განავითარებენ მრავალმხრივ თანამშრომლობას ეროვნული პროგრამების პრიორიტეტული ამოცანების გადასაწყვეტად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების სფეროში.

მუხლი 2

მხარეები ხელს შეუწყობენ პირდაპირი კავშირების გაფართოებას ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს შორის (რომლებიც შემდგომ ტექსტში იწოდებიან „თანამშრომელ ორგანიზაციებად") საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის თავისებურებების გათვალისწინებით.

მუხლი 3

მხარეები განავითარებენ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მეცნიერების შემდეგ სფეროებში:

- პირველადი და სპეციალიზირებული, აგრეთვე სტაციონარული (ანუ მეორადი) სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მოზრდილი მოსახლეობისა და ბავშვებისათვის;
- სახელმწიფო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის განხორციელება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება და სამედიცინო პროფილაქტიკა;
- ფარმაცია და სამედიცინო ტექნიკა, მათ შორის წარმოება;
- სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა და რეაბილიტაცია;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინფრასტრუქტურის განმტკიცება;
- სამეცნიერო მუშაობის ერთობლივი ჩატარება;
- საინფორმაციო ბაზის, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის საინფორმაციო უზრუნველყოფის გაძლიერება;
- მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმირების პრიორიტეტების შემუშავება;
- სამედიცინო სტატისტიკა;
- საგანგებო სიტუაციათა სამედიცინო-სანიტარული შედეგების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია;
- ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა.

მუხლი 4

ურთიერთობა თანამშრომელ ორგანიზაციებს შორის ხორციელდება არსებული შეთანხმების ფარგლებში პირდაპირი ხელშეკრულებების (კონტრაქტების) საფუძველზე მხარეების სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესაბამისად. თანამშრომელი ორგანიზაციები პასუხს აგებენ ხელშეკრულების ვალდებულებების დაცვაზე მხარეთა სახელმწიფოების კანონმდებლობის და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომელთა მონაწილეებიც არიან საქართველო და რუსეთის ფედერაცია.

მუხლი 5

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომელ ორგანიზაციებს სამკურნალო-საკონსულტაციო, სამეცნიერო და სხვა სახის თანამშრომლობის განხორციელებაში.

მუხლი 6

მხარეები ამ შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად კომერციულ საფუძველზე (სახელშეკრულებო ფასებით ან მოქმედი პრეისკურანტებით) განახორციელებენ ორმხრივ უწყებათაშორის თანამშრომლობას ავადმყოფების ურთიერთგადაგზავნის გზით სპეციალიზირებულ სამედიცინო ცენტრებში კონსულტაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციისათვის, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარების, კადრების მომზადების, სპეციალისტებისა და სამედიცინო-ტექნიკური ინფორმაციების გაცვლის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენების მეთოდოლოგიური მასალების შემუშავების, სიმპოზიუმების ორგანიზებისათვის, მონოგრაფიების და სტატიების პუბლიკაციის, ერთობლივი პატენტების გაფორმებისათვის.

მხარეები თავს შეიკავებენ ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ზიანს მიაყენებს ერთმანეთს.

მუხლი 7

მხარეები ურთიერთჩათვლების სისტემის დამუშავებისათვის, თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებების და ფორმების განსაზღვრისა და ამ შეთანხმების რეალიზების კონტროლისათვის შექმნიან ექსპერტთა მუდმივმოქმედ სამუშაო ჯგუფს.

მუხლი 8

მხარეები აცნობებენ ერთმანეთს ყრილობების, კონფერენციების და სხვა ამგვარი ღონისძიებების ჩატარების გეგმების შესახებ. სამეცნიერო და სამედიცინო საზოგადოებების და საკუთარი სახელმწიფოების სხვა ორგანიზაციების თხოვნისა და წინადადების საფუძველზე მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ ღონისძიებების მონაწილე სპეციალისტების მიღებას გამგზავნი ქვეყნის ხარჯზე.

მუხლი 9

ექსტრემალურ სიტუაციაში მხარეები უსასყიდლოდ უზრუნველყოფენ სასწრაფო სამკურნალო-საკონსულტაციო დახმარებას.

მუხლი 10

მხარეები ერთობლივად იმუშავებენ უმაღლესი და საშუალო სამედიცინო სასწავლო დაწესებულებების პროგრამებისა და სასწავლო გეგმების ოპტიმიზაციაზე, ხელს შეუწყობენ პირდაპირი შემოქმედებითი კავშირების დამყარებას ამ დაწესებულებებს შორის და კომერციულ საფუძველზე განახორციელებენ ასპირანტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების გაცვლას.

მუხლი 11

მხარეები მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში სამედიცინო, პედაგოგიური და სამეცნიერო კადრებისათვის შექმნიან კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებს არსებულ ციკლებზე საგზურების გამოყოფისა და სამუშაო ადგილებზე სტაჟირების გზით კომერციულ საფუძველზე.

მუხლი 12

მხარეები, გამოდიან რა სამედიცინო ტექნიკისა და მედიკამენტების წარმოების სრულყოფისა და განვითარების, მათი გაცვლის შესაძლებლობებიდან, ხელს შეუწყობენ ამ სფეროებში სახელმწიფოთაშორისო ეფექტიანი თანამშრომლობის გაღრმავებას, მათ შორის სამედიცინო დანიშნულების საჭირო პროდუქციის მწარმოებელი ერთობლივი საწარმოების შექმნას.

მუხლი 13

მხარეები ხელს შეუწყობენ მრავალმხრივი ურთიერთობების და კოოპერაციის გაღრმავებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში.

მუხლი 14

არსებულ შეთანხმებაში ცვლილებები და დამატებები შედის მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და ფორმდება ოქმებით, რომლებიც წარმოადგენს არსებული შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 15

არსებული შეთანხმების დებულებების განმარტებისა და გამოყენებისას წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მხარეთა მიერ მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით.

მუხლი 16

არსებული შეთანხმება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და იდება ხუთი წლის ვადით. მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდებით, ვიდრე ერთ-ერთი მხარე შეთანხმების მოქმედების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ექვსი თვით ადრე წერილობით არ ამცნობს მეორე მხარეს შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე თავისი განზრახვის შესახებ.

შეთანხმება შესრულებულია ქ.---თბილისში---- 2003 წლის „15“ ---------- ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და რუსულ ენებზე, ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელით	რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელით